

შპს „სისტემ ინშაათ“
2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბტ. ჯან დუშმეზი



შპს „სისტემ ინშაათ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	2020	2019	2018
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	81 967	480 091	673 307
სავაჭრო მოთხოვნები	5 374 439	4 941 884	5 748 857
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5 118	669 824	546 233
მარაგები	18 875 525	35 964 208	38 275 727
- მზა პროდუქცია	18 872 876	35 964 208	38 275 727
- სხვა	2 649	-	-
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	8 416	9 859	11 556
ძირითადი საშუალებები	8	211 826	259 930
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	16 630 569		299 822
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	41 187 860	42 325 796	45 555 502
	24 337 049	42 056 007	45 244 124
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	9	444 289	819 304
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	155 447	35 273	28 435
საგადასახადო ვალდებულებები			142 357
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	49 139 962	53 394 978	42 005 142
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	70 868 427	44 023 108	46 590 951
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	10	666 934	-
სულ ვალდებულებები	121 275 060	98 272 663	89 521 768
	49 739 698	54 249 555	42 930 817
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(80 087 200)	(55 946 867)	(43 966 266)
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	(80 087 200)	(55 946 867)	(43 966 266)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	41 187 860	42 325 796	45 555 502

შპს სისტემ ინშაათ

დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბტ. ჯან დუმეზი



შპს „სისტემ ინშაათ“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	2020	2019
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	3	
საქონლის გაყიდვიდან	2 097 740	7 984 470
მომსახურების გაწევიდან	2 097 740	7 587 935
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		396 535
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	
საწყისი მარაგები	(775 870)	(2 681 236)
მარაგების შესყიდვა		(38 275 727)
გადაშვების დანახარჯები		(369 717)
საბოლოო მარაგები		35 964 208
საერთო მოგება	1 321 870	5 303 234
სხვა შემოსავალი	5 767	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 175 224)	(1 257 835)
ცვტა და ამორტიზაცია	(43 585)	(53 813)
საპროცენტო შემოსავალი:		234
საპროცენტო ხარჯი:	(9 501 295)	(9 175 640)
იჯარის ხარჯი	(5 932)	(10 170)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(632 579)	(653 408)
სულ საოპერაციო ხარჯები	(11 352 849)	(11 150 632)
საოპერაციო მოგება	(10 030 979)	(5 847 398)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	7	
მიღებული დივიდენდები	(14 109 354)	(6 121 929)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(24 140 333)	(11 969 327)
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	(24 140 333)	(11 969 327)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერსი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	(24 140 333)	(11 969 327)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(55 946 867)	(43 966 266)
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(24 140 333)	(11 969 327)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(80 087 200)	(55 946 867)

შპს სისტემ ინშაათ

დირექტორის მინდობილი პირი

უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ბ.ტ. ჯან დუმეზი



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

შპს „სისტემ ინშაათ“

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა	2020	2019
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(7 074 340)	(9 056 798)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(16 581 022)	41 589
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	23 257 238	8 821 993
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(398 124)	(193 216)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	480 091	673 307
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	81 967	480 091

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბ.ტ. ჯან დუშმეზი



შპს „სისტემ ინშაათ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სისტემ ინშაათ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 19/12/2011). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.ბათუმი, შოთა რუსთაველის ქ.14

კომპანიის დირექტორი: - ბურაქ ბაშლილარ.

დირექტორი: - ერქან ოზმენ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

შპს სისტემ ინშაათ

დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბტ. ჯან დუმეზი



მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბტ. ჯან დუშმეხი



ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბტ. ჯან დუშმეზი



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბტ. ჯან დუმეჩი



4.

	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	775870

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

5.

	2020
ცვეთა და ამორტიზაცია	43585

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია მიმდინარეობს წრფივი მეთოდით.

6.

	2020
იჯარის ხარჯი	5932

იჯარის ხარჯი აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში.

7.

	2020
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	14 109 354

სხვაობა სავალუტე ანგარიშების გადაფასების მოგებასა და ზარალს შორის.

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბტ. ჯან დუმეზი



8.

	2020	2019
ძირითადი საშუალებები	211826	259930

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით.

9.

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	444289	819304

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი შესყიდვებიდან და აგრეთვე არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების ან/და საქონლის შეძენისგან.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 23 სექტემბერს.

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორის მინდობილი პირი
უფლებამოსილი წარმომადგენელი.
ბტ. ჯან დუშმეზი

